საქართველო
დუშეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

GEORGIA
MUNICIPAL COUNCIL OF
DUSHETI

ქ. დუშეთი, 1800, ი. ჭავჭავაძის ქუჩა №27 ტელ: 2 19 38; 2 19 30

№222 „30" „ივნისი" 2011 წ.

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარეს, ბატონ ტატო ურჯუმელაშვილს

ბატონო ტატო,

მოგმართავთ დიდი ბოდიშის მოხდით და გთხოვთ შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე ხელახლა ატვირთოთ დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2011 წლის 10 მაისს გამოცხადებულ N67-ე კონკურსის - ქალაქ დუშეთში სტალინის ქუჩის გარე განათების რეაბილიტაციის სამუშაოების ჩასატარებლად საპროექტო, სახარჯთაღრიცხვო - ტექნიკური დოკუმენტაციის დამზადება - თანდართული ოქმი, რადგან ოქმში დაშვებულია მექანიკური შეცდომა კონკურსანტის დასახელებაში.

დანართი: სამი ფურცელი.

პატივისცემით,
დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე: /ც. საძაგლიშვილი/

დუშეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით წარმოდგენილი პროექტების შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №2

ქ. დუშეთი 27 მაისი 2011 წელი

17:50 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე:

ცარო სამაგლიშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

კომისიის წევრები:

ნინო თუჯიშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი კომისიის მდივანი;

ზურაბ ოტიაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

ისაკ კარიაული - დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსი;

ნიკო დუდაური - დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

შალვა ინაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი;

ლაშა შარაშიძე - დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი;

ჯიმი ჭელიძე - დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მშენებლობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი;

კომისიის აპარატი:

დალი ნამგალაური - დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ნინო ნატრაძე - დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

კომისიის სხდომას არ ესწრებოდნენ - ზურაბ ოტიაშვილი და ნინო თუჯიშვილი.

დღის წესრიგი:

დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ N67-ე კონკურსში - ქალაქ დუშეთში სტალინის ქუჩის გარე განათების რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა - წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შერჩევა-შეფასება.

მომხ. /ც. სამაგლიშვილი/

მოისმინეს:

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო, რომ მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ N67-ე კონკურსში, ქალაქ დუშეთში სტალინის ქუჩის გარე განათების რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ტექნიკური დოკუმენტაციის შესადგენად, შემოსულია ორი კონკურსანტის შპს „გზაპროექტისა" და შპს „სინათლე -2006-ის" საკონკურსო წინადადება, საჭიროა მოვახდინოთ საკონკურსო წინადადებების შერჩევა-შეფასება. საკონკურსო წესის მოთხოვნებიდან გამომდინარე შპს „სინათლე- 2006" ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების გადახდის დამადასტურებელი საფასურის ქვითარი, შეესაბამება საკონკურსო პირობების მოთხოვნებს, რაც შეეხება, შპს „ გზაპროექტის" მიერ წარმოდგენილს მას არა აქვს მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი, რაც საკონკურსო განცხადების მეხუთე მუხლის მოთხოვნით არ განიხილება და ამავე განცხადების 5.2. მუხლის შესაბამისად ექვემდებარება დისკვალიფიკაციას. გაიხსნა შპს ,,სინათლე-2006-ის" საკონკურსო პაკეტი და აღმოჩნდა, რომ მის მიერ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია, არ შეესაბამება ქალაქ დუშეთში სტალინის ქუჩის გარე განათების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მოთხოვნებს.

მომხსენებელმა სთხოვა კომისიის წევრებს გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრება.

აზრი გამოთქვეს:

ისაკ კარიაულმა - მან აღნიშნა, რომ შპს „გზაპროექტს" კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის" მეექვსე მუხლის შესაბამისად სრულყოფილად არა აქვს წარმოდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითარში არსებული მონაცემები. აქედან გამომდინარე ამავე წესის მეოთხე მუხლის 4.8 პუნქტის შესაბამისად ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

ჯიმი ჭელიძემ - შპს „სინათლე-2006-ის „ მიერ წარმოდგენილ საკონკურსო წინადადებაში საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო, ტექნიკური დოკუმენტაცია წარმოდგენილია შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნების შეუსაბამოდ, ამიტომ მიმაჩნია, რომ შპს „სინათლე -2006-ს" მიენიჭოს დისკვალიფიკაცია.

დაადგინეს:

1. მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ N67-ე კონკურსში - ქალაქ დუშეთში სტალინის ქუჩის გარე განათების რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო ტექნიკური დოკუმენტაციის დამზადება შპს „გზაპროექტს" მიენიჭოს დისკვალიფიკაცია.

2. შპს „სინათლე-2006-ს" მიენიჭოს დისკვალიფიკაცია.

3. კონკურსის შედეგების შესახებ ოქმი აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ გვერდზე.

ოქმის სინამდვილეს ვადასტურებთ ხელმოწერით:

/ც. სამაგლიშვილი/

/ჯ. ჭელიძე/

/ი. კარიაული/

/ნ. დუდაური/

/ლ. შარაშიძე/

/შ. ინაშვილი/